



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აქვი

აქვი, აფხაზ სპელეოლოგთა მღვიმე, კარსტული მღვიმე გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ახალი ათონის მიდამოებში, გუმიშხა-ფსირცხის კირქველ მასივში, 160 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. ა. კომბინირებული, ციკლგავლილი მღვიმეა. იწყება ვიწრო (2,5 მ) ვერტ. მონაკვეთით, რ-იც თანდათან ფართოვდება და 60 მ სიღრმეზე ვრცელ დარბაზს ერწყმის. ჭამური სიღრმეა 85 მ. ა-ის ჰორიზ. ნაწილში ფაქტობრივად ერთი დარბაზია (სიგრძე დაახლ. 145 მ, სიგანე და სიმაღლე 35-40 მ), რ-იც ნგრევის უხვი მასალით რამდენიმე ნაწილად იყოფა. ცალკეულ უბნებზე არის ნაირ-ნაირი ნალვენთ-ნაწვეთი სტალაქტიტები-სტალაგმიტები, ქვის ყვავილები და გურები. ა-ში ჰაერის ტემპ-რა 13,1-13,8°C, ფარდობითი ტენიანობა 93-96%. მღვიმეში ნაპოვნია კაჟის იარაღები და მღვიმური დათვის ძვლები. ა. აღმოჩენილია 1965 (გ. სმირი), გამოკვლეულია ქართველი (ზ. ტატაშიძე, ო. ერქომაიშვილი) და აფხაზი (ზ. აძინბა, ს. ადლეიბა) სპელეოლოგების მიერ. ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ბ., ნ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.
